ცნობის ფურცელი

№ 2306 სამშაბათი, 28 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2306

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, მეორმოცე დღესა გარდაცვალებისა

თავადის ივანე ნიკოლოზის ძის წულუკიძისა

გარდახდილი იქნება პანაშვილი სოფელ დიდ ჯიხაიშს სერგიეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, ნაშუადღევის 3 საათზე, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი კნ. ბაბილინა წულუკიძისა შვილებითურთ და სთხოვს დაესწრნენ. (1—1822—1)

№ 12. ტელეფონი № 761

ქართული თეატრი

სამშაბათს, 28 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ჰამლეტი

ტრაგ. 5 მოქმ. შექსპირისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ნ. გამყრელიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

28 ოქტ. წარმოდგ. არ არის ოთხშაბათს, 29 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

ურიის ქალი

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გალევისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მელნიკოვა, კარტავინა; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, შმაკოვი, სანგურსკი და გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. პოზენი.

ანონსი: 30 ოქტ.—„ფრა-დიავოლო“, ობერისა, 31 ოქტ.—„ფაუსტი“, გუნოსი, 1 ნოემბერს—„ფრანჩესკო და რიმინი.“ (ნ).

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ვ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (0—110)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გააიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ჰოხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქაროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (უ. 0—4)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საზღვარ-გარედ

რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება

პარიზში ამბავი მისულა, რუსეთმა და იაპონიამ მოლაპარაკება დაასრულეს და ამნაირად მორიგდნენო: კორეია დამოუკიდებელი უნდა დარჩეს, მაგრამ იაპონელებს კორეიაში დასახლებისა და მრეწველობის ნება მიეცემათო. ომის მომხრე პარტიას იაპონიაში არ მოსწონს ეს მორიგება: იაპონია მეტად რბილად, დუნედ მოქცეულაო.

„ფიგარო“ სწერს: დელკასე დაჰპირდა გრაფ ლამსდორფს, იაპონიას ვურჩევ, რომ საქმე მორიგებით გაათავოსო.

ზოგიერთი იაპონური გაზეთი ადრევე ურჩევდა იაპონიის მთავრობას, რუსეთისა და ჩვენი დავა სამედიატორო სასამართლოს გადაეცით გადასაწყვეტადაო. ფრანგული გაზ. „ეკო დე პარი“ სწერს: იაპონიის მთავრობამ მოსწერა თავის ელჩს პარიზში, გრაფ ლამსდორფს წინადადება მიეცით, რუსეთ-იაპონიის დავა სამედიატორო სასამართლოს გადავცეთ გადასაწყვეტადაო.

ზოგი ამბობს: რუსეთი და იაპონია მორიგდნენ კიდეცაო, ზოგი-კი ირწმუნება, მორიგებამდე ჯერ კიდევ შორსააო. ინგლისური გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი ირწმუნება, იაპონია არაფრის გულისათვის არ დასთანხმდება, რომ მანჯურიის საქმე მარტო რუსეთმა და ჩინეთმა გადასწყვიტონო. გაზეთი სწერს: „იაპონიას იმედი აქვს, რომ რუსეთი თავის მოვალეობას აასრულებს და მანჯურიიდან ჯარს გაიყვანს. იაპონიას არც კორეისა ეფიქრება, რადგან 1898 წელს დადებულ ხელ-შეკრულობის ძალით კორეია დამოუკიდებელი უნდა იყოს, ამიტომ რუსეთმა კორეიას ხელიც არ უნდა ახლოს. მანჯურიიდანაც უსათუოდ ჯარი უნდა გაიყვანოს, იმიტომ 1893—1895 წელს იაპონიასაც ეყენა ამ პროვინციაში ჯარი, მაგრამ დიდმა სახელმწიფოებმა ჯარის გაყვანა სთხოვეს, და იაპონიამაც შეასრულა ეს თხოვნა, არ უნდოდა, რომ ამ საქმის გამოისობით მშვიდობიანობა დარღვეულიყო. ამიტომ იაპონია არას დროს არ მოითმენს, რომ მანჯურიას სხვა სახელმწიფო დაეპატრონოს.“

იაპონელ ოფიცრების დაბრუნება სამშობლოში

„ინდეპანდანს ბელჟ“-ს ატყობინებენ რომიდან: იტალიის უმაღლეს სამხედრო სკოლაში 45 იაპონელი ოფიცერი სწავლობდა. იაპონიის მთავრობამ ამ ოფიცრებს დეპეშით ბრძანება გაუგზავნა, ტოკიოში დაბრუნდითო. ოფიცრები მაშინვე ბრინდიზის სადგურში წავიდნენ და იქიდან გემით იაპონიისაკენ გასწიეს.

ქალ. მუკდენში რუსის ჯარის ჩაყენება და ამერიკის მთავრობა

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ამერიკის მთავრობას ძლიერ ეწყინა, რომ რუსეთმა მანჯურიის უმთავრეს ქალაქში თავისი ჯარი ჩააყენა. 17 ოქტომბერს ვაშინგტონის სამინისტრო საგანგებოდ შეიკრიბა ამ საქმეზე მოილაპარაკა. ამერიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ რუსეთს ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულობის გაქარწყლება უნდაო. ამ ხელშეკრულობის ძალით უცხოელებს მუკდენში ვაჭრობისა და დასახლების უფლება ეძლევათ; რუსეთი კი წინააღმდეგია ამისი და ჯარიც ამიტომ ჩააყენა მუკდენში; ამას გარდა ხელშეკრულობის ძალით, მუკდენში ამერიკის კონსულმა უნდა იცხოვროს მუდამ, ეხლა რუსეთი, ეტყობა, აღარც ამ კონსულს შეუშვებს მანჯურიის სატახტო ქალაქში. ამერიკა-ჩინეთის ხელშეკრულობა ჯერ დამტკიცებული არაა, ამიტომ ამერიკის მთავრობა ჯერ-ჯერობით ვერას იზამს, მაგრამ რამწამს შეერთებულ-შტატების სენატი ამ ხელშეკრულობას დაამტკიცებს, ამერიკის მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს, აღარაფერს არ მოერიდება, და თავის ინტერესებს მანჯურიაში მედგრად დაიცავს. შეერთებულ შტატების მთავრობა ეხლაც კი ბეჯითად მოითხოვს, რომ ეს ხელშეკრულობა სავსებით ასრულდეს. გინდ მანჯურია რუსეთის ხელში გადავიდეს, შეერთებული შტატების მთავრობა მაინც არაფრის გულისათვის ხელს არ აიღებს ამ ხელშეკრულობაზე.

რუსეთ-ავსტრიის ნოტა და ოსმალეთი

ოსმალეთი დიდ უარზე დგას და ნოტის უმთავრეს მუხლების ასრულებას დღესაც არა სთანხმდება. ავსტრია და რუსეთი ასეთ პირობას უდებენ ოსმალეთს: 1) რეფორმების უმთავრეს ინსპექტორს ხილმი-ფაშას ორი თანაშემწე მიეცეს, ერთი წარჩინებული რუსი მოხელე, ერთიც ავსტრიელი; 2) ოსმალეთის ჯარს მაკედონიაში ევროპიელი მცოდნე სამხედრო კაცები გაუწევენ კონტროლს. ამ სამხედრო კაცებს დიდი სახელმწიფოები დაჰნიშნენ; 3) სხვა-და-სხვა საქმის გადასაწყვეტად დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან კომისია დაინიშნება და 4) დანგრეული სახლები უნდა ხელ-ახლად აშენდეს და გაქცეული მაკედონიელები ისევ თავ-თავიანთ სოფლებში დაბინავდნენ. რუსეთმა და ავსტრიამ მოითხოვეს, ეს პროგრამა სრულად, უკლებლივ უნდა ასრულდესო. ამას გარდა ნოტაში ეწერა: „ორივ სახელმწიფოს უფლება აქვთ, ყველასათვის, ვინც აჯანყებასა და არეულობაში მონაწილეობა მიიღეს და მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ, ამნისტია (პატივება) მოითხოვონ. ამნისტიას ან სახელმწიფოთა აგენტები აასრულებენ, ან რუსეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის კონსულები“. აქამდე არავინ იცოდა, თუ ნოტაში ამნისტიაც იყო მოხსენებული. რაკი ამნისტიის იმედი ექნებათ, აჯანყებულთა რაზმები უფრო ადვილად აიღებენ ბრძოლაზე ხელს და გადახვეწილნიც უფრო დაბრუნდებიან სამშობლოში. სოფიაში ამბობენ, რუსეთ-ავსტრიის ახალი ნოტა ადრიანოპოლის ვილაეტს არ შეეხებაო.

ოსმალეთის მთავრობამ გამოუცხადა ავსტრიისა და რუსეთის ელჩებს, ნოტის პირველ ორ მუხლს არას დროს არ დავსთანხმდებით, რადგან ეს მუხლები ხონთქრისა და ჩვენის ჯარის სახელს სტეხსო; ეგ მუხლები უსათუოდ უნდა შეიცვალოსო. ელჩებს ეპასუხნათ, პროგრამის შეცვლაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, არც ავსტრია, არც რუსეთი არას დროს არ დასთანხმდებიან პროგრამის შეცვლასაო.

„რეიტერის სააგენტო“-ს სწერენ სტამბოლიდან, ოსმალეთის მთავრობა ხალხის აღელვებას ცდილობსო. აისოფიას მეჩითის კედლებზე რუსეთ-ავსტრიის ნოტის წინააღმდეგ ოსმალურ ენაზე დაწერილი პროკლამაციები გააკრეს. ოსმალეთის წარჩინებულ მოხელეებს უსახელო წერილებით მუქარას უთვლიან: რუსეთ-ავსტრიის მოთხოვნილებას ნუ აასრულებთ, თორემ ცუდი დღე დაგადგებათო. იქნება პროკლამაციები თითონ მთავრობის ბძანებით იყოს გაკრული: უნდა ყველა დაარწმუნოს, რომ ოსმალეთის ხალხი რეფორმების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებსო.

პარიზის შრომის ბირჟაზე მომხდარ უწესოების თაობაზე

გაზეთები დღესაც ბევრსა სწერენ ამ ამბავზე. უკიდურეს მარცხენა პარტიის გაზეთები ყველანი სასტიკად ჰგმობენ პოლიციის პრეფექტის ლეპინის ქცევას. მუშების დელეგატებმა საერთო წერილი გაუგზავნეს კომბს და სთხოვეს, ბირჟაზე მომხდარ უწესოებას რომ გამოიძიებთ, ჩვენც გველაპარაკეთო. ჟორესი სწერს „პტი რეპუბლიკ“-ში: როცა შრომის ბირჟაზე მომხდარ უწესოების

თაობაზე პალატაში კამათი მოხდა, მე და ჩემმა მეგობრებმა მოვითხოვეთ, პალატამ პოლიციის ქცევა დაჰგმოსო, მაგრამ მთავრობის მომხრე ზომიერებმა მხარი არ დაგვიჭირესო და ამიტომ ჩვენი რეზოლიუცია პალატამ არ მიიღოო. ჟორესი უმატებს: დემოკრატიულ კავშირის ზოგიერთი წევრი, ნამეტნავად ყოფილი მინისტრები ლეიგი და კალით კომბის წინააღმდეგ მოქმედებენ და მზად არიან, უმეტესობას მოჰშორდნენო.

პალატის კომისიამ შრომის კერძო ბიუროების მოსპობის თაობაზე პროექტი წარუდგინა პარლამენტს. კომისიის პროექტით ქალაქს გამგეობას შრომის კერძო ბიუროების შესყიდვის უფლება ეძლევა. ამას გარდა კომისია ურჩევს მთავრობას, საქალაქო გამგეობათ შრომის ბიუროები დააარსებინეთო.

ინგლისი

დიდი ამბები ჰხდება ინგლისში, ჩემბერლენის სადამოჟნო პროექტმა მთელი ინგლისი ფეხზე დააყენა. გაზეთები იუწყებიან: ახლა მთელი ინგლისი მარტო პოლიტიკურ ეკონომიაზე-ღა ლაპარაკობს. საქონლის საზღვარ-გარეთიდან შემოტანა და გატანა, სამუშაო ქირა და ბაჟები, საქონლის ფასი და ტარიფი—პირზე აკერია ყველას. ამის თაობაზე ყველგან ლექციებს ჰკითხულობენ, კრებებსა ჰმართავენ, წერილებსა სწერენ, კარიკატურებსა ჰბეჭდავენ და სიმღერებსა და კუპლეტებს ჰმღერიან. მთელი ხალხი ეხლა გულდასმითა სწავლობს საერთაშორისო აღებმიცემობასა და ვაჭრობას. მრეწველობის სამინისტრო ყოველ დღე ახალ-ახალ წიგნებსა და ცნობებს ჰბეჭდავს სადამოჟნო საქმეებზე. თავისუფალ ვაჭრობის დამცველი ლიგა და ბაჟების მომხრე ლიგა,—ორივე აუარებელ წიგნსა და ფურცელსა სცემენ—ერთი ბაჟის წინააღმდეგ, მეორე ბაჟების დასაცველად. ამათ გამოცემას სწორედ ანგარიში არა აქვს. კობდენის კლუბი მეტად მხნედ მოქმედებს და ჩემბერლენსა და იმის მომხრეებს მეტად მედგრად უხვდება სამუსიკო დარბაზებშიაც კი სადამოჟნო საქმეებზე ჰმღერიან. სიმღერებში ზოგი ჩემბერლენის პროექტს დაჰმღერის, ზოგი სასაცილოდ იგდებს.

მუშების ყველა ამხანაგობა, კავშირი, კოოპერაცია, ტრედ-უნიონი, დამხმარებელი და დამზღვევი საზოგადოება, დამოუკიდებელი პარტია და სხვანი თავიანთ წევრებისათვის საგანგებო ლექციებსა ჰკითხულობენ, კამათსა ჰმართავენ და ყველას სატამოჟნო საქმეს დაწვრილებით უხსნიან. პოლიტიკური კლუბები, პოლიტიკური პარტიები, ეკონომიური წრეები, ხომ რაღა თქმა უნდა, მარტო საფინანსო რეფორმაზე-ღა ჰფიქრობენ.

თავისუფალ ვაჭრობის დამცველნი, თუ მოწინააღმდეგენი მრავალ კრებასა ჰმართვენ. აუარებელი ხალხი აწყდება ამ კრებებს და დიდის გულ-მოდგინეობით ისმენს ჩემბერლენისა და იმის მოწინააღმდეგეთა გრძელ სიტყვებს. ერთი გამოჩენილი ორატორი არ დარჩა ინგლისში, რომ ამ საქმეზე სიტყვა არ წარმოეთქვას. ორივ პარტია არაფერსა ჰზოგავს, ყოველ ღონესა ჰლონობს, რომ ხალხს თავისი აზრები მოაწონოს. ვინ გაიმარჯვებს იმათში, ვინ გაიტანს თავისას,—დღესაც ძნელი გამოსაცნობია.

ახალი ამბავი

◆ კვირა ღამეს ქალაქის საბჭოს დარბაზში **ხმოსანთა კერძო კრება იყო** ქალაქის გამგეობის წევრობაზე კანდიდატის ასარჩევად. 42 ხმოსანი დაესწრო ამ კრებას და ბარათებით შემდეგი კანდიდატები დაასახელეს: 1) ლ. ვ. ტიგრანოვი 19-ის ხმით, 2) ექიმი ხატისოვი 12-ის ხმით, 3) ს. ს. ჰრელაშვილი (საბჭოს მდივანი) 3-ის ხმით, 4) სვეშნიკოვი 5-ის ხმითა და 5) გამგეობის წევრად ნამყოფი ა. ა. ივანენკო 1-ის ხმით. ამ უკანასკნელს ქაღალდით უთხოვნია ქალაქის მოურავისათვის, გთხოვთ ყოველს შემთხვევაში ყუთი დამიდგათ და გამგეობის წევრობაზე კენჭი ჩამომიტაროთ საბჭოშიო. ბ-ნ სვეშნიკოვის სახელით ერთმა ხმოსანმა კანდიდატობაზე უარი გამოაცხადა, ასე რომ კენჭი დანარჩენ ოთხ კაცს ჩამოუტარეს და მიიღეს: 1) ბ-ნმა ტიგრანოვმა 25 თეთრი და 15 შავი, 2) ბ-ნმა ხატისოვმა 17 თეთრი, 23 შავი, 3) ბ-ნმა ჰრელაშვილმა 7 თეთრი, 33 შავი და 4) ბ-ნმა ივანენკომ 7 თეთრი, 33 შავი, შემდეგ პირველ ორს ჩამოუტარეს კენჭი და მიიღეს: 1) ბ-ნმა ტიგრანოვმა 21 თეთრი, 17 შავი და 2) ბ-ნმა ხატისოვმა 13 თეთრი, 25 შავი.

◆ სოხუმის ოლქში ტკვარჩელიდან ოჩემჩირამდე ჰფიქრობენ **ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის** გაყვანას.

◆ გუშინ, 27 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა დასამტკიცებლად გუბერნატორს **საბჭოს დადგენილებანი**: 1. ტფილისის დედათა 1 და მე-2 გიმნაზიებში დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზე 10 სტიპენდიის დაარსების შესახებ; 2. მუხრანის ბორანის ს. ბულდანოვზე გაცემის შესახებ და სხვანი.

◆ შაბათს, 25 ოქტომბერს, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ მამადავითის **სკოლის მასწავლებლად** დანიშნა ქ-ნი საათსაზოვი, ხოლო სოლოლაკის სკოლისა—ქ-ნი პეტროსიანი. კანდიდატად ამორჩეულ იქმნა ქ-ნი კუპრაშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 25 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა **ყაზბეგის სკოლის** გამგის ქ-ნ ვ. მიქაბერიძის თხოვნა და სკოლას 1904 წლისათვის 200 მან. დაუნიშნა.

◆ აზრადა აქვთ **საბოტანიკო ბაღში** სასმელი წყალი გაიყვანონ. მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას დაავალოს ტეხნიკოსს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

◆ ქუჩების მომკირწვლელმა კომისიამ დაადგინა, წინადადება მისცეს უსახელო საზოგადოებას **ცხენის რკინის გზა** ანდრეევის ქუჩაზე მიიყვანოს ტფილისის სადგურის საქონლის ეზომდე, რომ შეეძლოს იქიდან შემოიტანოს ქუჩების მოსაკირწვლავად მიღებული მასალა. გუშინ-წინ გამგეობის საამშენებლო განყოფილება შეეკითხა ამის შესახებ უსახელო საზოგადოებას.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის თხოვნის თანახმად **ოდესის, ქალაქის** გამგეობამ გამოუგზავნა ცნობები ქალაქის 1902 წლის შემოსავალ-გასავლის შესახებ. ამ წელს ქალაქს შემოსვლია 5,811,889 მან. 83 კაპ., დაუხარჯნია—6,154,497 მან. 1903 წლის 1 იანვრისათვის ოდესას ვალი ჰქონია 12,667,791 მან.

◆ **ავლაბარში** კენისბერგისა და ვოლფზონის სისხლის საშრობი ქარხანა გუბერნატორის განკარგულებით დაუთვალიერებია კომისიას, რომელსაც იგი მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოუჩენია. უსუფთაოდაა თურმე როგორც ქარხანა, ისე სისხლის საზიდი ქვაბები. ცუდი სუნი სდგას, რომლისგანაც მცხოვრებნი შეწუხებულნი არიან. გუბერნატორმა წინადადება მისცა პოლიცმეისტერს დაავალოს ქარხნის პატრონებს, უკეთ მოაწყონ თავიანთი ქარხანა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიკეტება.

◆ ხორცის დუქნების გამგე კომისიამ დაადგინა მიენდოს კომისიის წევრებს, კვირა-უქმე დღეებში, როდესაც ქალაქის კასსა დაკეტილია, ჩამოუარონ დუქნებს, მოჰკრიბონ ფული და მეორე დღეს შეიტანონ კასსაში.

◆ ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, სხდომა ექნება ტფილისის საბჭოს კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ავჭალის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ.

◆ შაბათს, 25 ოქტომბერს, ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე ტფილისის მაზრის უმფროსის თანაშემწის მეუღლის ელენე ვოზნესენსკაიასი, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის არხივარიუსი ჩერენცოვი ცილის დაწამებას უჩიოდა. 1903 წელს, 21 აპრილს, ქ-ნი ვოზნესენსკაია შეუსულა სავაჭროდ თამამშოვის ქარვასლაში. აქ ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ვოზნესენსკაიასათვის ჯიბიდან ამოუცლია 20 მანეთი. ვოზნესენსკაიას პოლიციელი მიუხმია და იქვე მიმავალ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის არხივარიუს ჩერენცოვზე მიუთითებია, ამ კაცმა ჯიბიდან 20 მანეთი მომპარაო, დაიჭირეთ და პოლიციაში წაიყვანეთო. ჩერენცოვი გზაში თავის ცოლითა და ცოლის დით მიხავალა. პოლიციელს იგი წაუყვანია, გაუჩხრეკიათ, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოუჩენიათ. ასეთ შეურაცხყოფისთვის ჩერენცოვს საჩივრით მომრიგებელ მოსამართლესთვის მიუმართავს. 25 ოქტომბერს მომრიგებელ მოსამართლემ წინადადება მისცა მომჩივან—მოპასუხეს, მორიგებით გაეთავებინათ საქმე. ვოზნესენსკაიამ შეურაცხების მიყენების გამო ბოდიში მოიხადა ჩერენცოვთან. ეს უკანასკნელი დაკმაყოფილდა საჯარო ბოდიშის მოხდით და საქმე მოისპო.

◆ ამ ბოლო დროს ქალაქში მეტად გავრცელდა ყელის ჭირვება და ხურვება. 20—27 ოქტომბრამდე ყელის ჭირვებით ავად გამხდარა 12 კაცი, ხურვებით 13, ყვავილით 2, მუცელათი 1. ამავე ხნის განმავლობაში ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოში მიუღიათ ყელის ჭირვებიანი 5, ხურვებიანა 10 და ყვავილიანი 1.

◆ 24 ოქტომბერს, საღამოს, ასე 7 საათზედ, პოლიციის მე-10 ნაწილში, ბოდინოვის ბაღის მახლობლად, ილარიონ დანელიას თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი. წაურთმევიათ ფულად 330 მან., 12 ვერცხლის მასრები და გაქცეულან.

◆ 24 ოქტომბერს სენაკის მაზრის მცხოვრებს მიხეილ ჯანაშიას და ტფილისის მოქალაქს დარჩო გალიზაევს ჩხუბი მოსვლიათ. ჩხუბის დროს გალიზაევს ჯანაშია დანით დაუჭრია.

◆ 26 ოქტომბერს, პოლიციის მე-10 ნაწილში რაჭის მაზრის მცხოვრებს იორამ არჩვაძის დუქანში მისულა რკინის გზის კონდუქტორი პეტრე ალიფანოვი, რომელიც იქვე დუქანში უეცრად წაქცეულა და გარდაცვლილა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

შეცდომის გასწორება: კვირის №-ში, კონსტანტინეპოლიდან დეპეშაში შეცდომით არის დაბეჭდილი: სამხედრო გემებისათვის, უნდა იყოს—სამხედრო სასამართლოებისათვის.

რუსეთის ქრონიკა

◆ მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, რომ შესდგა ახალი კომისია ერობის მოღვაწეთაგან, რომელსაც დავალებული აქვს შიდა გუბერნიების გაღატაკების მიზეზთა გამოკვლევა. ამ კომისიას რამდენიმე სხდომა ჰქონდა. კომისიას საჭიროდ დაუნახავს რეფორმების მოხდენა გლეხთა ცხოვრებაში. კომისიის აზრით, უნდა განკარგდეს გლეხთა უფლებრივად კულტურული და საზოგადოებრივი მხარენი.

◆ ერობათა წარმომადგენლები ყველაზე უფრო საჭიროდ ხალხის კეთილ-დღეობის ასაწევად სთვლიან თვით გლეხის პიროვნების უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას. მხოლოდ და მხოლოდ განათლება, პიროვნების ამაღლება, თვითმოქმედების მინიჭება მისცემს გლეხს საშუალებას არსებობისათვის ბრძოლისთვის, მხოლოდ ამით შეიძლება სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესება. უამისოდ ცხოვრების გარეგან პირობათა გაუმჯობესება ფიქტიური, უნაყოფო და უსარგებლო იქნებაო.

◆ კოროჩენსკის საერობო კრებას (კურსკ. გ.) მიუქცევია ყურადღება ჭარხლის მინდვრებში მომუშავეთა მდგომარეობისათვის. ამ მუშებს წარმოუდგენელ სანიტარულ პირობებში ამუშავებენ თურმე. კრებას დაუდგენია, ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ გამოიცეს სავალდებულო წესებიო. სხვათა შორის, უნდა დაევალოსთ პატრონებს გამართონ სადგომები მუშების დასასვენებლად და სველის ტანისამოსისა და ფეხსაცმელის გასაშრობად; სადგომები უნდა ინახებოდეს სუფთად და სამუშაო ადგილიდან სამ ვერსზე დაშორებით არ უნდა იყოს, დასაგებად უნდა ეძლეოდესთ მუშებს ჩალა. ავადმყოფ მუშებისთვის ცალკე სადგომები უნდა გაიმართოს.

◆ ქ. ტემრუკიდან იტყობინებიან: ღამე მოზარდ ყმაწვილებისაგან შემდგარ ბრბოს, რიცხვით 300 კაცამდე, ყვირილითა და სტვენით ჩაუვლია ქალაქში, მისულა მდინარე ყუბანზე, სადაც დაუწვავთ თევზის მჭერავ ყაძახთა დარაჯების ნავები, შემდეგ ალყა შემოურტყამთ თავზის საჭერ რაიონის უფროსის—მილენკის სახლისათვის, ჩაულეწნიათ ფანჯრები, კარები და გაუნადგურებიათ მთელი სახლის მოწყობილება. ბრბოს გასაფანტავად საჭიროდ შეიქნა მთე-

ფელეტონი

სიმღერა

სიცოცხლემ შხამი მასმია;
მე კახურ ღვინოდ შავირგე:
შავსვი და არც მოვერიდე,
თუმც მის სიმწარე გავიგე.
ვიცოდი ეს იქნებოდა:
ქვეყნის ლხინიც დავიგე,
გწევარ და მძინავ ტკბილადა,
აი ბიჭობაც ეს არი—
მაღლიდან შავი ღრუბელი
თავს დამწოლია მეხარი.
რაცა სწადიან, ისა ქმნას,
მესროლოს მეხი—მედგარი,
მე ვარ და არ შაუდრკები,
გაკაჟებული მხედარი.
ჯერ ასე უოფნა ვარჩიე,
ნუ-კი გგონივართ ცხედარი.
გულში ცოცხალი გრძნობა მაქვს,
მოუსვენარი, მეეფარი.
ჩემს თვალებს ვეღარ აშინებს
ცრემლი და სისხლი მჩქეფარი,
არც საკუთარი, არც სხვისა
ჩვენი ტყე-ველის მდებარი.

ვაჟა-ფშაველა

შემოდგომა მთაში

დარდმა შეიპყრო მთა-ბარი
რა გაუხუნდა შვენება.
დიდი ხანია დაღამდა,
აღარ გვედირსა თენება.
ტყეს გუშინ ამწვანებულსა
ყვითელი ფერი სდებია.
ყველა იძახის: „აცვდა!“
დაუთოვნია მთებია.
ავსილა ჰანტით და ფოთლით
ბილიკები და გზებია.
მომაკვდავსა ჰგავს ბუნება
თუმც არ იძახის: ვკვდებია,
მომეშველენით, კაცებო,
ეს არი ვიღუპებია!..
ან რად იძახებს, რომ იცის
მალე ადგება მკვდრეთითა.
დაიწყებს ლაღად სულ-თქმასა.
მოღერებულის ქედითა.
ბრალი ჩვენი; რომ სიხარულს
სად, როდის მოვესწრებითა!..

—

დაბლა სწვიმს, ცოტა ზევით-კი
თოვლი მოჰკიდა ხევსა,
სახლებში ახალგაზდები
ყალიბში ასხმენ ტყვიებსა.
თოფებს ჰმართავენ, დათვების
კვალი გაჩნდება დილითა,
ვისც ხელი მოემართება
დამე გაიგებს სიზმრითა,
თან იბანდავენ ბანდულებს,
აქ არ ივლება წუღითა.
საქძალსაც აცხობინებენ,
ზურგით საზიდავს გუდითა.
ზოგი სწუხს—დარჩათ მთაშია
ტიალი ქერი სამკალი:
ხელი არ დაეკარება,
არ ეკიდება ნამგალი.
სხვას დაჰრჩა დასაგულები
თივა, ზვავების მსხვერპლია.
მთაო, შენც უსამართლობას
ბევრჯელ მრავალსა ჰშვრებია,
დაუნაშავრის კაცისა
დიდს ცოდვაშია სდგებია;
აფუჭებ კაცის ამაგსა
მოულოდნელის წყობითა,
გაატიალებ ერთს წუთში
კაცის მონაგარს შრომითა.
ან რა მოიგე, საწყალო,
მაგ უსამართლო ომითა?!
რაც ააშენე, მასვე ჰშლი
თავის ჯანით და ღონით.

—

სახლებიდანა ამოდის
ბოლები, როგორც ნისლია,
ერთიან ღრუბელს ცისასა,
ვით მონაწვეტი მისია.
ცეცხლია გაჩაღებული
ზედ ხარის იწვის ღვიძლია,
სამღთო აქვს, ხარი დაუკლავთ
დღეს შავერდაანთ ბერასა,
სამი ჭედილაც წააკლა
ეს ვერ გახდება ვერასა:
სახინკლედ ხორცი საზამთროდ
საკმაო უნდა ყველასა.
რა სიცოცხლეა იმისი
ვინც არ ჰხვრეტს ხინკლის წვენსა?!
კაცები შემოჰსხდომიან
კარს გაჩაღებულ კერასა:
ჰსვამენ სულდაის არაყსა,
ბერას უპყრია ხელადა
და ერთიც ყანწი ხარისა,
ყვითლად რამ გააფერადა?
ასმევს ძველთ შესანდობარსა,
კარგად ცხოვრობდენ ძველადა;
არაყსა არც კი კადრობდნენ,
ღვინოს შოვობდენ ხელადა.
ვინცს ყანწს არ დასცლის, მასპინძელს
ის მიაჩნია მგელადა.
„ვინც არ დაცალოს, რაც შასვა

ლის ქალაქის პოლიციის მოწვევა. 36 კაცია დაჭერილი.

ამ დღეებში ვარშავაში სრულიად რუსეთის ლურსმნის მწარმოებელთა კრება გაიმართა. კრებაზე ლაპარაკი ჰქონიათ დაარსონ სააქციონერო საზოგადოება „გვოზდ“ (ლურსმანი), რომელმაც ხელთ უნდა ჩაიგდოს სრულიად რუსეთის ლურსმნის წარმოება.

ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის სამშენებლო სამმართველო შუამდგომლობდა პოლიციის დეპარტამენტის წინაშე, რომ იმ ებრაელთათვის, რომელნიც რკინის გზას ქვასა და მასალას აწვდიან, ნება მიეცესთ ტურგაისკის მხარეში ცხოვრებისა. როგორც „ტურგაისკაი-გაზეტა“ გადმოგვცემს, პოლიციის დეპარტამენტს ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

პრესსა

„კავკაზ“-ის სიტყვით, გაზ. „მოსკ. ვედომ.“ შემდეგსა სწერს თავ. გალიცინის დაჭრის გამო:

> სომეხთა საეკლესიო მამულების მთავრობის გამგებლობაში გადაცემამ გამოიწვია სომეხთა თავხედი პროტესტები და ძალდატანებითი წინააღმდეგობა. ამის შემდეგ, როგორც ყველანი ამბობენ, სომხები არც-კი ჰმალავდნენ თავიანთ განზრახვათ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, —იმ მთავრობისა, რომელიც საჯაროდ დასწყევლეს. და აი, ამ არეულობის და შფოთის დროს, მოვიდა ამბავი, რომ სამი სომეხი თავს დაეცა კავკასიის მთავარ-მართებელს, თავ. გოლიცინს. ბოროტ-განმზრახველებმა დასჭრეს ხელმწიფისა და კანონის სახელოვანი მსახური, ხოლო ბოროტი განზრახვა თავისი სავსებით ვერ შეასრულეს და შემდეგ მოკლულ იქმნენ...
>
> მაგრამ, პეტერბურგის პრესამ სხვარიგად შეჰხედა საქმესა. რამდენსამე გაზეთში და უფრო-კი „ნოვ. ვრ.“-ში ცდილობენ გზა-კვალი აუბნიონ საზოგადოებას და შემცდარი აზრი შეადგენინონ ტფილისში მომხდარ ამბის შესახებ. „ნოვ. ვრ.“-ს ახსნით, მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის მოკვლის განზრახვას პოლიტიკური მნიშვნელობა სრულიადაც არა აქვს, არამედ ავაზაკების საქმეა, რომელთაც დააპირეს მთავარ-მართებლის მოტაცება და, შემდეგ, მის განთავისუფლებისათვის ფულის მოთხოვნაო!.. სომეხთა რევოლიუციონერები, ამრიგად, განზე რჩებიან და მათი ძებნა საჭირო აღარ არის. ყველაფერი „ავაზაკების“ საქმე ყოფილა. ამის მიხედვით, „ნოვ. ვრ.“ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას ჰქადაგობს, რომელიც სომეხ აგიტატორებს ესიამოვნებათ კიდეც: ეს ღონისძიებანი მიმართული იქმნება არა სომეხ რევოლიუციონერთა, არამედ ავაზაკების წინააღმდეგ... მართლაც, „ნოვ. ვრ.“ დიდის ამბით ჰქადაგობს, კავკასიის მკვიდრთ იარაღი ავყაროთო. აი როგორ დაატრიალეს საქმე! ამის შემდეგ შეიარაღებულნი უნდა იქმნენ მხოლოდ სომეხი რევოლიუციონერები.
>
> ჩვენ ამდენხანა არ აგვიხსნია მთავარ-მართებლის მოკვლის განხილვის მნიშვნელობა. არც ახლა ვამბობთ საბოლოო სიტყვას; მაგრამ, პეტერბურგის გაზეთების ქადაგება ისეთი მავნებელია, რომ არ შეგვიძლია ხმა არ აღვამაღლოთ იმათ წინააღმდეგ, ვისაც განუზრახავს რუსეთის პრესის და საზოგადოების მოტყუება. პეტერბურგში შეთხზული ლეგენდა ძალიან წააგავს ფანტასტურს რომანს და მხოლოდ „ინსტიკუტკებს“ ეჩვენება სიმართლედ. დასბაისელ ადამიანს შერცხვება ასეთის არაკების მოსმენა.
>
> ყველასთვის ცხადია, რომ ეს გამწვავებულ სომხების შურისძიებით უნდა ავხსნათ. შეიძლება, თვით რევოლიუციონერებმა მოაწყეს ეს საქმე; შეიძლება ისიც, რომ განზრახვის აღსასრულებლად ავაზაკები დაიქირავეს; შეიძლება თვით ხალხმა, სამღვდელოების წაქეზებით, მოინდომა თავადის მოკვლა. ყველა ეს შეიძლება ვიფიქროთ, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ ავაზაკები აქ არაფერ შუაში არიან და ყოველივე სომეხ პოლიტიკანების ბრალია.

⁂

გუშინ მოყვანილი გვქონდა „ნოვ. ვრ.“-ს აზრი იმის შესახებ, თუ რა და რა ღონისძიებით უნდა მოისპოს ავაზაკობა კავკასიაში. სუვორინის გაზეთი სწორედ გაგიჟდა: მთელი კავკასია ავაზაკებით არის დასახლებულიო; იმ ქვეყანაში წესი და რიგი აღარ არისო და ამიტომ უთუოდ სამხედრო წესრიგი უნდა იქმნას შემოღებულიო! „მოსკ. ვედომ.“-საც-კი უკვირს „ნოვ. ვრ.“-ს ასეთი გადამეტებული სასტიკობა მთელის ქვეყნის წინააღმდეგ!.. სუვორინის გაზეთს, სხვათა შორის, მშვენიერ პასუხს აძლევს გაზ. „პეტერბ. ვედომ.“, რომელიც სწერს:

> „ნოვ. ვრ.“ სრულიად შემცდარ აზრებს ჰქადაგობს კავკასიაში ავაზაკობის გავრცელების შესახებ. ავაზაკობა კავკასიაში თან-და-თან ისპობა და არა ძლიერდება. არის გუბერნიები, რომელთაც წინად მოსვენება არა ჰქონდათ ყაჩაღებისაგან, ახლა-კი იქ სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს (მაგალითად, ერევნის გუბერნია); მეორეს მხრით სადღა არიან ახლა ქიარიმები, ნაბი, დარჩიაშვილები, მიქელაიშვილები და მათი მსგავსნი, რომელნიც შიშის ზარსა სცემდნენ მთელს მხარეს? წინანდელი ლეგენდალური და სახელგანთქმული ავაზაკობა აღარ არის, დაწვრიმალდა და უბრალო ქურდობად გადაიქცა. კულტურა თავისას შვრება: ავაზაკობა თან-და-თან ისპობა. რასაკვირველია, ეს პროცესსი ნელ-ნელა სწარმოებს, მაგრამ ასეთია ისტორიის მსვლელობა: ძველი ფორმები ნელ-ნელა უთმობენ ადგილს პროგრესს... ავაზაკობის გავრცელება-გაძლიერებას „ნოვ. ვრ.“ ამტკიცებს იმით, რომ მოჰყავს ცნობები, თუ რამდენჯერ მოხდა სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე 2 თვის განმავლობაში. მაგრამ, განა ეს რამეს ნიშნავს? აიღეთ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ბოროტ-მოქმედება ხდება შიდა რუსეთის რკინის გზებზე და თქვენ დარწმუნდებით, რომ კავკასიაზე ნაკლები ამბავი არც იქ ხდება. განსხვავება მხოლოდ იარაღშია: კავკასიელნი ტყვიასა და ხანჯალს ხმარობენ, რუსები-კი საწამლავსა და ნაჯახს. შემდეგ გაზეთი ირწმუნება, ვითომ კავკასიელი ავაზაკები დაუსჯელნი რჩებიანო. ეს ხომ ცილისწამებასა ჰგავს: უკანასკნელ წლებში მრავალი ყაჩაღი დაიჭირეს, ბევრი მოჰკლეს, ბევრიც ჩამოახრჩეს. ეს არის განა დაუსჯელობა? სასამართლო ლმობიერად არ ეკიდება ავაზაკთ: როგორც მოწმობს სახალინის კატორღის ერთი ისტორიკოსი, იქ 18 კაცზე 16 კავკასიელი მოდის! მეტი რაღა გნებავთ? „ნოვ. ვრ.“ ჰქადაგობს კიდევ მცხოვრებთა საურთიერთო პასუხისგებას. ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კანონით, ყოველი კაცი თითონ აგებს პასუხს დანაშაულობისათვის; მეორეც ისა, რომ კავკასიაში უკვე სცადეს ეს წესი და არავითარი ნაყოფი არ მოჰყვა. როდესაც მამედ-აბისირმა მოჰკლა ბოქაული თავ. აბაშიძე, მის სოფელში „ეკზეკუცია“ ჩააყენეს და ისე გაამწარეს მცხოვრებნი, რომ სოფლელთაგან მრავალი ყაჩაღად გადავარდა...
>
> შემდეგ „ნოვ. ვრ“. ამტკიცებს, რომ ავაზაკობის წინააღმდეგ ბრძოლის უნაყოფობა იმითაც აიხსნება, რომ იქაურ ადმინისტრაციაში ცოტა რუსი მსახურობსო. ეს ნამდვილი სიცრუეა. საერობო სადარაჯო რაზმში $^{2}/_{3}$ რუსია და მხოლოდ $^{1}/_{3}$ ადგილობრივი მკვიდრი; ადმინისტრაციაში მსახურობს $^{4}/_{5}$ რუსი და მხოლოდ $^{1}/_{5}$ მკვიდრი.
>
> გარდა ამისა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ავაზაკებთან ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა. გაიხსენეთ თავგანწირული სამსახური აბაშიძისა, ჩიქოვანისა, პარამაძისა (?) და სხვათა...

დასასრულ გაზეთი კვლავ იმეორებს, რომ კავკასიაში ავაზაკობის მოსასპობლად რეპრესიები არ გამოდგება და ისევ კულტურული მუშაობა საჭიროო.

თეატრი

დღევანდელ **ქართულ წარმოდგენაში** მონაწილეობას იღებს ვლ. მესხიშვილის გარდა ნინო ჩხეიძეც, რომელიც შეასრულებს ოფელიას როლს.

ქართული თეატრი. 26 ოქტომბერს ქართულ თეატრში წარმოადგინეს ბ-ნ სუნდუკიანცის პიესა—„ხათაბალა“. ჩვენი საზოგადოება ამ კომედიას კარგად იცნობს, რადგან არა ერთხელ და ორჯელ წარმოუდგენიათ იგი. უნდა ავღნიშნოთ, რომ კომედია საკმაოდ მოძველდა. ამას გარდა პირველი ორი მოქმედება ისეა გაჭიანურებული, რომ კაცს მოთმინება ეკარგება. ჩვენმა არტისტებმა კვირას ეს პიესა კარგად წარმოადგინეს. საზოგადოებამ მრავალის ტაშის ცემით დააჯილდოვა მოთამაშენი. ამ საღამოს მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, მარიამ საფაროვ-აბაშიძისაც. საზოგადოება მხურვალედ მიეგება დამსახურებულ არტისტ-ქალს.

შემდეგი წარმოდგენა დღეს, 28 ოქტომბერს, იქმნება. ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით ჩვენი დასი წარმოადგენს შექსპირის კომედიას ჰამლეტს.

ქუთაისი. 24 ოქტომბერს, დიდის მოლოდინის შემდეგ, როგორც იქმნა, ვეღირსეთ ქართულ წარმოდგენას. ქართ. დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა „სამშობლო“. სამწუხაროდ, როლები ისე იყო განაწილებული, რომ წინდაწინვე შეიძლებოდა წინასწარმეტყველება, ვინ როგორ შეასრულებდა თავის როლს. არც ვლ. მესხიშვილი, არც კ. ყიფიანი, არც ნ. ჩხეიძის ასული წარმოდგენაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ბ-ნი გუნია (შაჰ-აბაზი) ზოგიერთ ადგილებს გარდა მეტად უგულოდ თამაშობდა. ქ-ნი კარგარეთელი (ქეთევანი) მხოლოდ თავის მოხდენილ თვალ-ტანადობით იზიდავდა საზოგადოებას, თორემ იმის თამაშობას ტანჯვა, არც ზნეობრივი, არც ფიზიკური არ ემჩნეოდა. ქალს ხელში რკინის მარწუხს უჭერენ და ის კი თითქოს არავითარ ტკივილს არა ჰგრძნობსო. ბ-ნი ბალანჩივაძე საოცრად იყო ჩაცმული და ისე დაფართხუნობდა სცენაზე, თითქოს ცირკის კლოუნი ყოფილიყოს. ბ-ნ სვიმონიძეს მხოლოდ ახოვანი ტანადობა ახიმშიაშვილებდა, თუმცა უკანასკნელ სცენაში არა უშავდარა. კარგი იყო ბ-ნი გამყრელიძე (სვიმონ ლეონიძე): ტანადობა, გრიმი, ხმა—ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ეს კეთილშობილი მოხუცი (ლეონიძე) დაეხატა. არც მდივნის ასული იყო ურიგო, მხოლოდ ხანდისხან კი ავიწყდებოდა, რომ ძლიერ დასუსტებული იყო და ისე დადიოდა და ლაპარაკობდა, როგორც სრულიად ჯანსაღი ადამიანი. რაც შეეხება შაჰ-აბაზის ჯარს, ისე უთავბოლოდ დაძუნძულებდა, რომ სიცილს ჰგვრიდა მაყურებელს: ზოგს თოფი მხარზე ჰქონდა გადებული, ზოგს ჩამოშვებული და ზოგსაც იღლიაში ამოჩრილი.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პიესის გარეგანი ელფერი შესამჩნევად შეცვლილია, რაც მაყურებლებზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. ტანისამოსი და მოწყობილება უწინდელთან შედარებით ბევრად გაუმჯობესებულია.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

დონ-ვალიანი

—

ჩაიკოვსკის ხსენება. შაბათს, 25 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში გაიმართა მუსიკალური საღამო რუს კომპოზიტორის ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო. საღამოს პროგრამმა შესდგებოდა ჩაიკოვსკის ნაწარმოებიდან და ყველა №№ ჩინებულად იქმნა ასრულებული. საზოგადოებას, რასაკვირველია, ნ. ნ. ფიგნერის გარდა, ძალიან მოეწონა ბ.ბ. რენე-რადინა, რომელმაც საუცხოვოდ აასრულა რომანსი „დამე“; ქ-ნი კარრი, რომელმაც დიდის გრძნობით იმღერა ორლეანის ქალწულის არია; ბ. დარსკი, რომელმაც კარგად იმღერა ძნელი რომანსი „კოროლკი“ და ბ. ეულახიშვილი, რომელმაც ჩინებულად იმღერა რამდენიმე რომანსი. მშვენიერი იყო აგრეთვე ბ. ესპოზიტოს მიერ საგანგებოდ ამ საღამოსთვის დაწერილი კანტატა.

საზოგადოდ, საღამომ კარგად ჩაიარა და ძალიან ასიამოვნა დიდძალი საზოგადოება, რომელსაც თავი მოეყარა საყვარელ კომპოზიტორის პატივსაცემად.

დაბა-სოფლები

ტყიბულა (იმერეთი). წელს აქეთ გამუდმებულ წვიმებისა და მოუსავლობისა გამო ძლიერ შეწუხებულია ხალხი. საზოგადოდ ოკრიბაში არა თუ წრეულს, დიდი ხანია რაც მოსავალმა იკლო. ვენახის მუშაობას აქაურებმა სულ თავი მიანებეს. მხოლოდ სიმინდისა და ღომის მუშაობასღა მისდევენ, მაგრამ ესეც ჰქდალატობსთ. ბევრი, ძალიან ბევრი გლეხია ისეთი, რომელსაც ნახევარის წლის საზრდოც არ მოსდის! აქაურნი მიწის უნაყოფობისა გამო სხვებზე მეტსა ჰხნავენ, ამიტომ მინდვრად დედაკაცებიც მუშაობენ. საადგილ-მამულო გადასახადი აქაურებს წინა წლებთან შედარებით ძალიან ბევრი შეაწერეს. მომეტებულისა კი არა, ჩვეულებრივის გადასახადის გადებაც უჭირთ. აქამდე აქაურნი თითო-ოროლა გროშს ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღნებში შოულობდნენ, ეხლა ესეც

„შხამად შაერგოს, გველადა?..“
მეჭვარტლი და ბოლი კუპრივით
თავზე ადგიათ მცველადა.

—

ხარი ირემიც დამშვიდდა,
არ შფოთავს, აღარ ჰყვირისა,
მოიკლა ვნება, დღეს ეძებს
ჰპოვოს საამო პირისა.
გამხდარი, გალეულია:
ძარღვები უჩანს კისრისა,
აღარ აქვს ძველი იღეთი,
თვალთგან ცეცხლს ვეღარ ისვრისა,
აქამდე ფურის მძებნელი,
ახლა დაეძებს ბალახსა,—
მთების კალთებში ღელ-უროს,
ჯიხვის, არჩვების ნალახსა.

—

ცხვარი და ძროხა აჰქსხმია
ჭალას და ჭალის პირებსა,
დატვირთულს გუდა-ნაბდებით
ცხვრებს შუა ვხედავ ვირებსა.
თავქვე იწევენ მწყემსები,
ბარს წასვლა დააპირესა.
ბევრს ჰრჩება ფეხი უკანა;
ჯადო არ უშვებს ოხერი,
აბორიალებს ვაჟკაცსა
გრძნობა და ფიქრი ორფერი:
ერთი წინისკენ მიებრძვის—
ეს ცხოვრებაა ტიალი.
მაშ რაღა უშლის ბარს წასვლას?
—შავის თვალების ციალი,—
ხშირა თმა, ხმა დათაფლული,
ღიმილი—დილის ცისკარი.
მწყემსის მუხლების მომკვეთი
სწორედ მიზეზი ის არი.
დაუჯაბნია პირველსა
მეორე გრძნობა მღელვარი,
თავ-პირზე მოუხვევია
შავის ფიქრების ზეწარი.
ჯერ ხანადა სწუხს ჩობანი,
ვიდრე გასცდება არაგვსა
და რაკი კახეთში ჩავა,
დაჰჭლევს ღვინოს და მაჭარსა,
მუხლებში გაიმართება,
დაეფერება ჩაფარსა.
მაშინ ის ფიქრი აწუხებს
როდისა ჰნახავს შირაქსა—
თვალ-გადუწვდენელს მინდორსა,
ცხვრისას და თავის ბინასა,
მოურიალებს ცხვრის ფარას,
ჯოხს უქნევს ვაცსა წინასა.
ბოტიც დადებით მიჰბოტავს,
უეინი რით სჯობ იმასა?!
აგერ შირაქიც. ჩავიდა
მწყემსი და მისი ცხვარია;
აქ სხვა ფიქრები ებადვის,
საქმე უჩნდება ცხარია:
თავის და ძაღლების ჯერი,
საქონლისათვის მარილი;
ოცნების ნებას არ აძლევს
ცხვრების და ძროხის ბღავილი;
ქურდის თათრების ტანტალი
და მგლების ჯოგის ღმუილი.
რა დროს ქალებზე ფიქრია
თან ქარ-ბუქს მოაქვს ზუილი.
ყველა ეს მართალი არი,
ნუ გეგონებათ ტყუილი.
ათასში ერთხელ თეთზე
როცა მწყემსია მწოლარი,
მოელანდება თვალ-შურთხი
მის მკერდზე ჭრელი ზონარი·
გაიშმუშნება, ადგება,
მოიცლის ნაბდის კალთასა—
იშორებს მაცდურს ოცნებას,
მწარე ფიქრების ხლართვასა.
რას არგებს მარტო ოცნება,
ჭაერში ხელის ფათური?
დღეს ურთგულოს თავის ცხვრებს,
იმათი არი მსახური...
ამოითხრებს და მერე
ძაღლებს ხმას მისცემს ჩობანი,
არ დაიძინონ, იფხიზლონ
არ გაახარონ ყორანი.
მასთან მოსულნი მხლებლადა:
სვავნი, ორბნი და ბორანი
ლეშ-სისხლის გაუმაძღრობით
სწორედ დევების სწორანი.

—

მერცხალიც აღარ ჭიკჭიკებს,
აღარც ქედანი ღუღუნებს.
მთის წყალიც მოდის ჩუმადა
ერთს და იმასვე ღუდუნებს:
„ღმერთო, შენია ქვეყანა,
„შენი ნაღვაწი სრულადა,
„დამალნო მუდმივმა შიშმა
„გულმა ნადებმა წყლულადა.
„ნუ დამშრეტ, ქვესკნელს ნუ მიმცემ,
„მიტუოდენ დაკარგულადა!
საწყალს სიკვდილი აშინებს,
იმიტომ არის მწუხარი:
რა წამსაც დაცოტავდება,
ცრემლები მოსდის მდუღარი,
ამბობს: „ეგ არი გვკვდებიო,
ტანზე ჩამეცმის სუდარი!“
ის როდი იცის, თუ მოვა
კიდევ ზაფხული მქუხარი,
მომავალს ვერ სცნობს საწყალი
თავის სიმცირის მწუხარი.

ვაჟა-ფშაველა.

აღარ არის. ამიტომ არის, რომ გლეხი მისდგომია და ას წლობით დაცულ ტყეებს სჩეხავს და ჰყიდის.

ი. ფოფხაძე.

ს. აკეთი (გურია). რამდენიმე დღეა, რაც სიმინდის ტეხას მოვრჩით. წელს აკეთლებსაც, როგორც სხვა სოფლებს, შოსავალი ძალიან ცოტა მოგვივიდა. მიზეზი, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ცუდი ამინდები იყო. სიმინდი არ გვეყოფა და ღვინო ხომ შუა გზამდიც არ მიგვყვება. სოფლელებს დიდი გასაჭირი მოელისთ. სამწუხარო უფრო ის გახლავთ, რომ რაც მოგვივიდა, ისიც არ არის ხეირიანი: როგორც ძველს, ისე ახალ სიმინდსაც ჭია გაუჩნდა. ამ გარემოებამ ძალიან დააღონა სოფლელნი. არ იციან, რით გაუძლვნენ ათასგვარ მოთხოვნილებას. მეტი გზა არ არის, ისევ მევახშეებს უნდა ჩაუვარდნენ ხელში. ამ ვაჟ-ბატონებმაც კარგად იციან, წაქცეულ კაცს როგორ დააჭირონ ფეხი და გაჭირვებულ კაცს კიდევ უფრო გაუჭირონ საქმე. აქამდის თუ თუმანზე ექვს შაურს სარგებელს სჯერდებოდნენ, ეხლა ათ შაურსაც აღარ დასჯერდებიან. მართალია, კანონით აკრძალულია ამდენ სარგებლის აღება, მაგრამ ეს ვაჟბატონები, რომელთაც მევახშეობა ხელობად გადაქცევიათ, ყველაფერს ახერხებენ და სარგებელს წინადაწინვე თავნს აკეცავენ.

ე. ტ.

ბუკის ციხე (გურია). 19 ოქტომბერს საღამოთი გაუჩნდა ცეცხლი გლეხის ივანე სიხარულიძის სახლს და მთლად გადაიბუგა. ივანეს ამ სახლში ჰქონია მთელი თავისი სარჩო: ღომი, სიმინდი, ლობიო, ნიგოზი, და სხვა, რომლების გადარჩენა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ერთ წუთში შეიკრიბა, არ მოხერხდა. ბევრმა შემწეობა აღუთქვა, რისთვისაც არჩეულია სამი კაცი, რომელთაც უნდა შეიკრიბონ ფული.

როგორც წინადაც მოხსენებული იყო, სურების ტყე გაიყიდა ასი ათასიმანეთად. ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან შეუდგნენ მუშაობას: წყლის გაწმენდას, ტყეში სადგომების აგებას და სხვას. მუშა დღეში მანეთიდან თორმეტ აბაზამდეა. ამ ბოლო დროს ჩვენსკენ საუცხოო დარებია. მოსავალი ცუდი იყო.

მ. შარაშიძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 **ოქტომბერი**

პეტერბურგი. 24 ოქტომბერს ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფალი უავგუსტოესის შვილებით და დიდი ჰერცოგი ჰესენისა თავის ქალით პრინცესა ელისაბედით სკერნევიცში მობრძანდნენ.

ელეცი. დაიწვა სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზების სახელოსნოები, საწყობები, ინსტრუმენტები და 20 ორთქლმავალი.

ბერლინი. იმპერატორს ოპერაცია გაუკეთეს და ყაურატოდან სოკო ამოაცალეს. ოპერაცია გაუკეთა შმიდტმა. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. სანამდის ჭრილობა მოურჩებოდეს, მის უდიდესობას ურჩიეს, ლაპარაკს ერიდოს. დღეს იმპერატორმა საიმპერიო კანცლერი მიიღო.

ფლორენცია. დიდის ზეიმით აკურთხეს რუსების ახალი ეკკლესია. კურთხევას დაესწრნენ ელჩი ნელიდოვი, ადმირალი ვირენიუსი, რუსეთის ფლოტის წარმომადგენლები, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი.

ნიუ-იორკი. პანამის არხის საზოგადოების საფინანსო აგენტი ბუნოვარილია დაინიშნა პანამის ახალ მთავრობის დიპლომატიურ აგენტად ვაშინგტონში.

ბერლინი. დღევანდელი ბიულეტენი: „იმპერატორმა ვილჰელმმა გუშინ მთელი დღე კარგად გაატარა. მთელი ღამე კარგად ეძინა. გარეგანი შეხედულება ჭრილობისა სანუგეშოა ტემპერატურა—36,3; მაჯა 60.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35
ლონდონისაზე ჩეკები	94,65
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ „
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	458½ „
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	339 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	286½ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91⅞ „
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	90,¾ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200,½ „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში-

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ხის ნახშირის

საწყობი

იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—б.—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დ-რის შინდლერ-ბარნაის

„მ რი ნზადის რედუქციური აბები“

წინააღმდეგ

სიმსუქნისა

და საუკეთესო საფაღარათო საშუალება.

ნამდვილი აბები იყიდება მხოლოდ

წითელ კოლოფებში

რომელშიაც აწყვია დარიგება, თუ როგორ იხმარება ეს წამალი, დაწერილი რუსულად, ფრანგულად და გერმანულად.

(ნ. 26—5)

პ. ი. ავსარქისოვის

ბაღში

იყიდება ხეხილები როგორც საზღვარგარეთისა, ისე აქაურ ჯიშისა. ფასები შემდეგია: ერთის წლის ხე—20 კაპ., ასი ცალი—15 მანეთი; ორი წლის ხე—35 კაპ., ასი ცალი—25 მან. ადრესი: უბრალო წერილებისთვის—სადგური სკრა ამიერ-კავ. რკინის გზა; ფულისა და დაზღვეულ წერილებისთვის—გორი, პ. ი. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უსასყიდლოთ გაეგზავნებათ. (10—143—7)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა, ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან და „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ქგურულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ. (10—б.—1)

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის, (მგ. 10—5)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ვარდისფერი

ბროლისებური **საპონი**

№ 4711

ამ საპონში ბევრი გლიცერინია.

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ

ყაირათიანია.

გარდის საუცხოვო

სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი

კოლოკოლნაია **№ 4711** კელნსა

და რიგაში.

(ე. 10.—2)

Въ книжномъ магазинѣ

„ГУТТЕНБЕРГЪ“

(Тифлисъ, на Дворцов. и Штаб. ул.)

Продаются слѣдующія книги:

Къ вопросу о Кахетинскихъ винахъ, Магистра фармаціи Н. Е. Іоннисіани, цѣна 1 р. 25 к.

Вся Россія, съ картой Россійской имперіи, въ коленк. перепл. ц. 15 р.

Сочиненія Чарльза Диккенса, переводъ Шишмаревой, 10 том., ц. 15 р.

Весь Кавказъ, справочно-литературный сборникъ съ картинами, въ коленк. переплетѣ, ц. 5 р.

Русскіе писатели, въ портретахъ, біографіяхъ и образцахъ. Галлерея XIX вѣка, подъ редакціей К. Л. Аленина, въ коленкор. перепл. ц. 5 р. (2—181—2)

Дозв. ценз. Тифлисъ 27 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).